

ქალაქ ქუთაისში, ბუხაიდის ქუჩა მე-2 მიკრორაიონი N25 საცხოვრებელი სახლის  
N49 ბინაზე, მოქალაქე არკადი კილაძისათვის საკუთრების  
უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიაში განხილული იქნა მოქალაქე არკადი კილაძის წარმომადგენლის ზაალ ვარლოსანიძის განცხადება /2011 წლის 25.10 Nგ-8402/, რითაც ითხოვს ბინაზე /მღებარე ქალაქ ქუთაისში, ბუხაიდის ქუჩა მე-2 მიკრორაიონი N25 საცხოვრებელი სახლის N49 ბინა/, საკუთრების უფლების მოწმობის გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „აღვილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 65<sup>2</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის აღვილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, ბუხაიდის ქუჩა მე-2 მიკრორაიონი N25 საცხოვრებელი სახლის N49 ბინაზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე არკადი კილაძეს.

2. ქალაქ ქუთაისის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურმა /კ.ხვარეშია/, ქალაქ ქუთაისში, ბუხაიდის ქუჩა მე-2 მიკრორაიონი N25 საცხოვრებელი სახლის N49 ბინაზე /საერთო ფართობი 68,80 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი 44,85 კვ.მ, დამხმარე ფართობი 23,95 კვ.მ./ მოქალაქე არკადი კილაძის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონკრული განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილე ი.ჯიქიაშვილი.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრადის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერი

გ.თევდორაძე